მწვანე ალტერნატივა

თბილისი, 0179, ფალიაშვილის 39ბ, IV სართ.
ტელ.: (+99532) 222 38 74
greenalt@greenalt.org
www.greenalt.org

7 მარტი, 2023
№ 23/02-385

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი:
ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივა
ს/კ: 204952676

ადმინისტრაციული საჩივარი

გასაჩივრებული მოქმედება:
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსის 2023 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" 2023 წლის 1 თებერვლის N23/02-382 (სააგენტოში რეგ.#803, 06.02.23წ.) განცხადების მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან ინფორმაციის გადმოცემის მომენტამდე მომზადებული გარემოს დაბინძურების შესახებ წელიწდეულების, ბიულეტენების, მიმოხილვებისა და ცნობების - გაცემის შესახებ.

ადმინისტრაციული საჩივრის მოთხოვნა:
გაუქმდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსის 2023 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" 2023 წლის 1 თებერვლის N23/02-382 განცხადების მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან ინფორმაციის გადმოცემის მომენტამდე მომზადებული გარემოს დაბინძურების შესახებ წელიწდეულების, ბიულეტენების, მიმოხილვებისა და ცნობების ასლების გაცემის შესახებ; და გადმოგვეცეს მოთხოვნილი ინფორმაცია სრულად.

გარემოებანი, რომელსაც ეფუძნება საჩივრის მოთხოვნა:
1. 2023 წლის 1 თებერვალს ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივამ" წერილით მიმართა გარემოს ეროვნულ სააგენტოს და სხვა საჯარო ინფორმაციასთან ერთად, მოითხოვა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან ინფორმაციის გადმოცემის მომენტამდე მომზადებული გარემოს დაბინძურების შესახებ წელიწდეულების, ბიულეტენების, მიმოხილვებისა და ცნობების ასლები.

1.1 პირველ რიგში, 1 თებერვალს გაგზავნილი წერილი სააგენტოში მხოლოდ 6 თებერვალს დარეგისტრირდა.

1.2 ინფორმაცია არ გადმოგვეცა დაუყოვნებლივ, როგორც ამას ითხოვს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის მე-40 მუხლის 1 ნაწილი.

1.3 არ გვეცნობა იმის შესახებ, რომ სააგენტოს სჭირდებოდა 10 დღიანი ვადა მოთხოვნილი ინფორმაციის გადმოსაცემად, როგორც ამას ითხოვს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის მე-40 მუხლის მე-2 ნაწილი.

მტკიცებულება: დანართი #1. ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას“ 2023 წლის 23 იანვრის № 23/09/03-114 წერილი.

2. სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსის 2023 წლის 20 თებერვლის 21/1088 წერილით გვეცნობა, რომ „სააგენტოს ვებ-გვერდსა და ჰაერის პორტალზე (www.nea.gov.ge ; www.air.gov.ge) ხელმისაწვდომია და ეტაპობრივად ქვეყნდება გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ მომზადებული ანგარიშები“; თუმცა ხსენებული ანგარიშები არ გადმოგვეცა, როგორც ამას ითხოვს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის მე-40 მუხლის მე-2 ნაწილი.

მტკიცებულება: დანართი #2. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 20 თებერვლის 21/1088 წერილი.

საჩივრის სამართლებრივი საფუძვლები:

1. სზაკ-ის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. მაშასადამე, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელზეც ამავე კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებანი.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლით ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაკისრებული ვალდებულების შესრულება არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. ამავე კოდექსის 2.1 მუხლის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება – უარი საჯარო ინფორმაციის გადმოცემაზე არ აწესებს, არ ცვლის, არ წყვეტს და არ ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი).

მაშასადამე, აღნიშნული გადაწყვეტილება (საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი) ფორმალურ–სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენს არა ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტს, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ისეთ ქმედებას, რომელიც არ გულისხმობს ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემას ანუ სახეზეა რეალაქტი, რომელიც გამოიხატა ადმინისტრაციული ორგანოს უმოქმედობაში, მის მიერ საჯარო უფლებამოსილების კანონდარღვევით განხორციელებაში, რაც სზაკ–ის 5.1 მუხლის შესაბამისად დაუშვებელია.

3. სზაკ-ის 177.3 მუხლის თანახმად ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება, რომელიც არ არის დაკავშირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან, გასაჩივრდება ამ თავით დადგენილი წესით. მაშასადამე, ადმინისტრაციული ორგანოს უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ საჩივრდება სზაკ-ის მე-13 თავით დადგენილი წესით ადმინისტრაციული საჩივრის უფლებამოსილ ორგანოში წარდგენის გზით.

4. სზაკ-ის 178.1 მუხლის თანახმად, თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, თუ იქ არსებობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი თანამდებობის პირის ან სტრუქტურული ქვედანაყოფის ზემდგომი თანამდებობის პირი. განსახილველ შემთხვევაში იმის გათვალისწინებით, რომ ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ მიერ საჯარო ინფორმაცია გამოთხოვილია და შესაბამისად პასუხი (რეალაქტი) გაცემულია სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსის მიერ; შესაბამისად, ადმინისტრაციული საჩივარი ზემოაღნიშნული ნორმის დანაწესის დაცვით წარმოდგენილია მის ზემდგომ თანამდებობის პირთან, რომელიც არის სააგენტოს უფროსი - თამარ ფიცხელაური.

5. განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ დაარღვია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი, რომლის თანახმად ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას ჰქონდეს მოსაზრებანი, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები.

6. ადმინისტრაციულმა ორგანომ დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის 18.2 მუხლი, რომლის თანახმად ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვა საშუალებით.

7. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლი, რომლის თანახმად ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ დაცულ სხვა ოფიციალურ დოკუმენტს, თუ ისინი არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

8. ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას, რომელიც არ განეკუთვნება სახელმწიფო, პროფესიულ და კომერციულ საიდუმლოებას. შესაბამისად, სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების

უფროსის 2023 წლის 3 თებერვლის უარი (ე.წ. ვირტუალური გადაწყვეტილება) საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ უკანონოა.

9. ადმინისტრაციულმა ორგანომ დაარღვია „გარემოსთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის პირველი, მესამე და მეოთხე მუხლების მოთხოვნა, როდესაც უარი უთხრა ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას მოთხოვნილი ინფორმაციის გადაცემაზე, რომელიც კონვენციის მეორე მუხლის თანახმად არის „გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაცია“.

გარემოს ეროვნული სააგენტო ის მთავარი ადმინისტრაციული ორგანოა რომელიც ქმნის და ფლობს ინფორმაციას საქართველოში გარემოს მდგომარეობის შესახებ. გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია კი, იმ ტიპის ინფორმაცია, რომელიც არათუ დაუყოვნებლივ უნდა იყოს ხელმისაწვდომი საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში, არამედ პროაქტიულად უნდა ქვეყნდებოდეს. გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის ელექტრონულ საშუალებებზე განთავსების და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ვალდებულება საქართველომ ჯერ კიდევ 1998 წელს „გარემოსთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციაზე ხელმოწერისას აიღო.

10. სააგენტო თავის წლიურ ანგარიშებში უთითებს, რომ გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტი ამზადებს წელიწდეულებს, ბიულეტენებს, მიმოხილვებსა და ცნობებს; სააგენტოს ვებ-გვერდზეც არის განყოფილება, რომელზეც თითქოს უნდა იყოს განთავსებული გარემოს დაბინძურების შესახებ ყოველთვიური ბიულეტენები 2017 წლიდან დღემდე; თუმცა, ეს ინფორმაცია ვებ-გვერდზე არ არის ხელმისაწვდომი.

როგორც მოგეხსენებათ, არც სააგენტოს ვებ-გვერდზე და არც ატმოსფერული ჰაერის ხარისხის პორტალზე არ ქვეყნდება გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ მომზადებული ანგარიშები. თუმცა, ეს ინფორმაცია მართლაც რომ იყოს განთავსებული მითითებულ რესურსებზე, სზაკ-ის მე-40 მუხლის თანახმად, „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება არ ათავისუფლებს საჯარო დაწესებულებას იმავე ან სხვა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში მისი დადგენილი წესით გაცემის ვალდებულებისგან“.

11. სზაკ-ის 41.2 მუხლის თანახმად, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების წესი, ასევე მიუთითოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას. სზაკ-ის 5.1, 96-ე და 41-ე მუხლებით დადგენილია ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება და აწარმოოს საჭირო კონსულტაციები შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან ან/და საჯარო დაწესებულებებთან, რაც ადმინისტრაციულმა

ორგანომ არ შეასრულა. მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე არ დააკმაყოფილა ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ.

12. წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი აკმაყოფილებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, დაცულია ამ კოდექსის 181-ე მუხლით გათვალისწინებული საჩივრის ფორმა, მისი წარდგენის კანონით გათვალისწინებული 30 დღიანი ვადა. არ არსებობს ამავე კოდექსის 182-ე მუხლით დადგენილი ადმინისტრაციული საჩივრის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლები, ადმინისტრაციული საჩივარი წარმოდგენილია უფლებამოსილ ორგანოში, რის საფუძველზეც გთხოვთ:

1. მიიღოთ ადმინისტრაციული საჩივარი წარმოებაში;
2. განიხილოთ ადმინისტრაციული საჩივარი ზეპირი მოსმენით საჩივრის შემომტანი პირის აუცილებელი მონაწილეობით;
3. გაუქმდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსის 2023 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ა(ა)იპ “მწვანე ალტერნატივას” 2023 წლის 1 თებერვლის N23/02-382 განცხადების მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან ინფორმაციის გადმოცემის მომენტამდე მომზადებული გარემოს დაბინძურების შესახებ წელიწდეულების, ბიულეტენების, მიმოხილვებისა და ცნობების ასლების გაცემის შესახებ; და
4. გადმოგვეცეს მოთხოვნილი ინფორმაცია სრულად.

საჩივარზე დართული დოკუმენტების ნუსხა:

1. ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას“ 2023 წლის 1 თებერვლის N23/02-382 წერილი- 1 ფურცელი;
2. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 20 თებერვლის 21/1088 წერილი -2 ფურცელი;
3. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან - 2 ფურცელი;
4. რწმუნებულება - 2 ფურცელი.

სულ დანართი: 7 ფურცელი.
წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,

ნინო გუჯარაიძე
აღმასრულებელი დირექტორი

From:	ngujaraidze@greenalt.org
To:	"info@nea.gov.ge"
Subject:	სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული/გამოცემული დოკუმენტების ასლის მოთხოვნის თაობაზე
Date:	ოთხშაბათი, 01 თებერვალი, 2023 17:57:00
Attachments:	image002.png

გთხოვთ, დაგვიდასტუროთ წერილის მიღება და გამოგვიგზავნით რეგისტრაციის ნომერი.

№ 23/02-382
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

გთხოვთ, გადმოგვცეთ:

1. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან ინფორმაციის გადმოცემის მომენტამდე მომზადებული გარემოს დაბინძურების შესახებ წელიწდეულების, ბიულეტენების, მიმოხილვებისა და ცნობების ასლები;
2. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის ანგარიში;
3. GCF-ის პროექტის ფარგლებში მომზადებული მდინარეების სუფსა, ნატანები და კინტრიშის აუზების საფრთხის რუკა, მონაცემთა ბაზა, კატალოგი/კადასტრი, შესაბამისი მეთოდოლოგიის თანხლებით;
4. საინფორმაციო გეოლოგიური ბიულეტენი - საქართველოში 2020 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და პროგნოზი 2021 წლისთვის;
5. საინფორმაციო გეოლოგიური ბიულეტენი - საქართველოში 2021 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და პროგნოზი 2022 წლისთვის;
6. კახეთის (ახმეტა, ყვარელი) და მცხეთა-მთიანეთის (დუშეთი) მხარეების გეოლოგიური რუკების კომპლექტი შესაბამისი ანგარიშით(ფურცლები: ახმეტა K-38-XVI; ყვარელიK-38-XVII და მახისმაღალი K-38-X);
7. საინფორმაციო ჰიდროგეოლოგიური ანგარიში - „საქართველოს მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლის რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების შეფასება (არსებული მდგომარეობის ანალიზი, პროგნოზი და რეკომენდაციები)“.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.
პატივისცემით,

ნინო გუჯარაიძე
აღმასრულებელი დირექტორი

მწვანე ალტერნატივა

თბილისი, 0179, ფალიაშვილის 39ბ, IV სართული
ტელ.: (+99532) 222 38 74
www.greenalt.org

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1088
20/02/2023

1088-21-2-202302201457

"მწვანე ალტერნატივას" აღმასრულებელ დირექტორს
ნინო გუჯარაიძეს
ელ-ფოსტა: ngujaraidze@greenalt.org;

ქალბატონო ნინო,

თქვენი მიმდინარე წლის 06 თებერვლის N803 წერილის პასუხად მატერიალური სახით გიგზავნით გეოლოგიურ ბიულეტენებს საქართველოში 2020 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და პროგნოზი 2021 წლისთვის და საქართველოში 2021 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და პროგნოზი 2022 წლისთვის. ასევე, საინფორმაციო ჰიდროგეოლოგიურ ანგარიშს და კახეთისა და მცხეთა-მთიანეთის მხარეების გეოლოგიურ რუკებს. რაც შეეხება გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის ანგარიშს, დოკუმენტი დამუშავების პროცესშია და უახლოეს პერიოდში განთავსდება სააგენტოს ვებ-გვერდზე (www.nea.gov.ge).

აქვე გაცნობებთ, რომ სააგენტოს ვებ-გვერდსა და ჰაერის პორტალზე (www.nea.gov.ge; www.air.gov.ge) ხელმისაწვდომია და ეტაპობრივად ქვეყნდება გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ მომზადებული ანგარიშები.

რაც შეეხება კლიმატის მწვანე ფონდის (Green Climate Fund) და საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP Georgia) მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის ფარგლებში მომზადებულ რუკებს, მონაცემთა ბაზებს და შესაბამის მასალებს, გაცნობებთ, რომ პროექტი მიმდინარეა, შესაბამისად სააგენტო მოკლებულია კომპეტენციას მოგაწოდოთ აღნიშნული მასალები პროექტის დასრულებამდე, რადგან შესაძლოა სამუშაო პროცესში მოხდეს არსებული მასალის დაკორექტირება.

დანართი - 2 CD დისკი.

პატივისცემით,

ნატო სულუაშვილი



განყოფილების უფროსი

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება